თამთა გრიგოლია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქენეთ ვაითის *გეოპოეტიკა* და *ვეფხისტყაოსნის სივრცე*

დასავლურ აზროვნებაში, ფილოსოფიაში, ლიტმცოდნეობასა და კულტუროლოგიაში დაახლოებით 1960-იანი წლებიდან დომინირებს რეფლექსიები სივრცის, როგორც კატეგორიის, შესახებ, რაც ხშირად spatial turn-ის სახელითაა წარმოდგენილი. spatial turn, ე.წ. „სივრცული შემოტრიალება" აერთიანებს სივრცესთან დაკავშირებულ უამრავ თეორიას, მოსაზრებასა და კონცეპტს. ამ მიმართულებით ტექსტების კვლევისას სივრცეა ის მთავარი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ხდება ტექსტის ფორმირება, იგი განსაზღვრავს შინაარსობრივ მხარეს, მეტაფორებს, პერსონაჟთა ხასიათებს და ა.შ.

სივრცის მთავარ კატეგორიად გააზრება და ამ მიდგომით ტექსტის ანალიზი ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია ტექსტების კვლევის ისტორიაში, რაც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება *ვეფხისტყაოსანთან* მიმართებით, რადგან პოემისეული სივრცე, რომელსაც რუსთველი პერსონაჟთა სამოქმედოდ შლის, საკმაოდ ჭრელი, მრავალფუნქციური და მრავალმხრივია, რაც საშუალებას მოგვცემს ,პოემისეული სივრცეები შევისწავლოთ სწორედ იმ პლურალური მიდგომით, რასაც სივრცის თანამედროვე კონცეპტები გულისხმობს.

სივრცის თანამედროვე თეორიათა მიხედვით სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული ძეგლების შესწავლა არ არის ახალი. ამ მიმართულებით არაერთი კვლევა თუ ნაშრომი დაწერილა, ამ კუთხით კვლევების მრავალფეროვნებით გამოირჩევა შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი. ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში პირველი ცდა ლიმინალობის თეორიის შეჯერებისა ესქატოლოგიური ანტიუტოპიის მოდელთან ეკუთვნის ირმა რატიანს (რატიანი, 2005), ხოლო აღნიშნული თეორია რუსთველის *ვეფხისტყაოსანს* მიუსადაგა მაკა ელბაქიძემ *(„ვეფხისტყაოსნის"* ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში), რომელიც შეეცადა ლიმინალობის თეორიის, როგორც ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომის, დანერგვას რუსთველის პოემის კვლევისას და, ამასთან, აღნიშნული მეთოდოლოგიური კონცეფციის მიმართებას გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლთან. აღნიშნულ ნაშრომში სივრცე და დრო განხილულია, როგორც ლიმინალური ფენომენი, და პერსონაჟთა ქმედება („გაჭრა", სიშმაგე და ა.შ.) მისადაგებულია ქრონოტოპის ლიმინალურ მოდელთან.

თანამედროვე დასავლური კვლევები ხშირად მრავალფეროვანი მიდგომით იწერება, კვლევა არ ეყრდნობა ერთ რომელიმე კონკრეტულ თეორიას, მკვლევრები იყენებენ სხვადასხვა თეორიას; ასევე წაშლილია საზღვრები მეცნიერებებს შორის; მაგალითად, ფრანგმა ფილოსოფოსმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა ფუკომ მედიცინიდან აიღო ტერმინი „ჰეტეროტოპია“ (უჯრედი, რომელიც წარმოიქმნება იქ, სადაც, წესით, არ უნდა იყოს). აღნიშნული ცნება დღესდღეობით კულტუროლოგიაში, ფილოსოფიასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში დაკავშირებულია სივრცის შესახებ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ და საინტერესო იდეასთან, რომელიც ფუკომ ტექსტის სახით "სხვა სივრცეთა შესახებ" 1984 წელს წარმოადგინა.

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს მკვლევრების მიერ თანამედროვე მეთოდებით ძველი და შუა საუკუნეების ტექსტების კვლევა. მაგალითისათვის, შეიძლება დავასახელოთ ამ მიმართულებით შექსპირის შემოქმედების შესწავლა. მაგ., დოქტორ ჰუსეინ ალდორი ბახტინის თეორიების მიხედვით შეისწავლის შექსპირს, მის შემოქმედებას და მიუთითებს, რომ შექსპირის უნივერსალურობა გვაძლევს მისი შემოქმედების შესწავლის შესაძლებლობას თანამედროვე თეორიების კონტექსტში (ალ-ირაქი...); გერმანელი მკვლევარი, ერიკა შელენბერგერ-დიტრიჰი გერმანელ მწერალთა და პოეტთა (ჰოლდერლინი, ნოვალისი, ჰოფმანი, რილკე...) შემოქმედებას სწორედ ამგვარი მიდგომებით განიხილავს (შელენბერგერ-დიტრიჰი, 2006).

სივრცის შესწავლის თანამედროვე კონცეპტთაგან გამოვყოფ გეოპოეტიკას. აღნიშნულმა კონცეპტმა ჩემი ყურადღება მას შემდეგ კიდევ უფრო მიიპყრო, რაც ქართულ სამეცნიერო სივრცეში მასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაგენი, მაშინ როცა დასავლეთ ევროპაში (და არა მარტო) მკვლევართაგან ძალიან დიდ ინტერესს იმსახურებს და განსაკუთრებით, როგორც უკვე აღვნიშნე, ძველი ტექსტების ამ კუთხით განხილვის თვალსაზრისით. ვფიქრობ, საინტერესო და მნიშვნელოვანია აღნიშნული კონცეპტის ჭრილში *ვეფხისტყაოსნის,* კერძოდ კი, პოემისეული სივრცის შესწავლა.

სივრცის შესწავლის ერთ-ერთი თანამედროვე კონცეპტი, *გეოპოეტიკა*, იკვლევს კულტურის და, პირველ რიგში, შემოქმედებითი პროცესების ზემოქმედებას ადამიანური სამყაროს სტრუქტურიზაციაზე. აღნიშნული კონცეპტის მიხედვით, სივრცე გაიაზრება პოეტურად, იგულისხმება სივრცის შესახებ პოეტური წარმოდგენების ანალიზი. გეოპოეტიკისათვის რეალური სივრცე იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც ის შესაძლოა ასახული იყოს ტექსტუალურ სივრცეში. გეოპოეტიკისათვის მთავარი ტექსტუალური სივრცეა, იგივე ტექსტ-სივრცე, როგორც იდეა, რომელიც ენაში (ნაწარმოებში) განსხეულდება.

გეოპოეტიკის იდეა და კონცეპტი ეკუთვნის შოტლანდიელ ფილოსოფოსს ქენეთ ვაითს (Kenneth White). იგი ასევე გახლავთ პოეტი, მწერალი და მკვლევარი. ვაითი დაიბადა 1936 წელს შოტლანდიაში. ვაითის მიხედვით, გეოპოეტიკა იწყება იქ, როცა რაღაცის შესაძლებლობას ვუშვებთ. მისგან განსხვავებით, *გეოპოლიტიკა* მიემართება რეალურ სივრცეს. მას აინტერესებს ძალაუფლებრივი ურთიერთობები გლობალური მასშტაბის ქალაქებსა და სახელმწიფოებს შორის. რაც შეეხება *გეოპოეტიკას,* ის უფრო ღრმა და რადიკალური ინიციატივაა. მისი ინტერესის სფერო არა სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული ძალაუფლება, არამედ ქვეყანაში ადამიანის არსებობაა, ადამიანებისა და ზეციური სამყაროს ურთიერთობა და, ასევე, დედამიწაზე არსებობის პრობლემა... სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გეოპოეტიკაში მსოფლიო და სამყარო ერთმანეთთანაა დაკავშირებული (ვაითი, 2004).

ვაითი გეოპოეტიკას[1] თეორიასაც უწოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორს სურვილი აქვს, სისტემური ხასიათი მისცეს თავის იდეას. ვაითის მიხედვით, ყოველი რელიგიის, განსხვავებული იდეოლოგიის, მორალისა თუ ფსიქოლოგიის მიღმა, არსებობს ერთი რამ, რაც საერთოა ყველა მიმართულებით: ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით – ესაა დედამიწა, უიშვიათესი პლანეტა მთელ გალაქტიკაში. აქედან გამომდინარე კი – „გეო“ ამ ნეოლოგიზმში: გეოპოეტიკა.

რაც შეეხება „პოეტიკას“, ვაითი ამ სიტყვას არ იყენებს მისი ტრადიციული გაგებით, არამედ როგორც „პოეტურ ინტელექტს“ (nous poietikos), რასაც აგრეთვე ვხვდებით არისტოტელეს შემოქმედებაში. „პოეტიკა“ მისთვის წარმოადგენს აზროვნების ფუნდამენტურ დინამიკას. აქედან გამომდინარე, არსებობს როგორც ლიტერატურის, ისე ფილოსოფიის, მეცნიერების და, ასევე, პოლიტიკის პოეტიკა. გეოპოეტიკა და, შესაბამისად, ნებისმიერი „გეოპოეტიკოსი“ არსებობს „უზარმაზარ“ დრო-სივრცეში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გეოპოეტიკა ხსნის კულტურის, აზროვნებისა და ცხოვრების სივრცეს, ფაქტობრივად, აღებს სამყაროს. ვაითისეული გეოპოეტიკა ეროსზე, ლოგოსსა და კოსმოსზე დაყრდნობით ქმნის იმ თანმიმდევრულობას, რასაც იგი უწოდებს „სამყაროს“.

ვაითმა ფილოსოფიური, სამეცნიერო და პოეტური თვალსაზრისით გეოპოეტიკის სრული რუკა დაგვიხატა წიგნში *Le Plateau de l'Albatros*[2] („ალბატროსის სიბრტყე“). ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, გეოპოეტიკა არის თეორია-პრაქტიკა, რომელსაც შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს და პერსპექტივები გაუხსნას ყველა სახის ქმედებას, რომელიც ცდილობს გავიდეს ზედმეტად მკაცრი დისციპლინური ჩარჩოებიდან.

---

[1] ვეყრდნობი ვაითისეულ მიმოხილვას გეოპოეტიკის შესახებ: https://www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics

[2] აღნიშნული წიგნი არის ვაითის თეორიული ნაშრომი გეოპოეტიკაზე.

აღნიშნულ ნაშრომში მკვლევარი ასახელებს პროტო-გეოპოეტიკოსებს: ჰუმბოლდტს, ტოროს (ჰენრი დევიდ ტორო - მე-19 საუკუნის ამერიკელი ესეისტი, პოეტი, ფილოსოფოსი - თ. გ.) და სეგალენს (ვიქტორ სეგალენი - მე-19-20 საუკუნეების ფრანგი სამხედრო ექიმი, ეთნოგრაფი, მწერალი, ლინგვისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და ა.შ. - თ.გ.) იმ მიზნით, რომ გვაჩვენოს, რამდენად ღრმადაა აზროვნება დაკავშირებული ცხოვრებასთან და რომ გეოპოეტიკის იდეა დაფარული იყო გარკვეულ დროსა და სივრცეში. მიგვანიშნებს, რომ დასახელებულ ავტორთა წაკითხვა და ანალიზი სცდება ერუდიციასა და ისტორიას და კარს უღებს ფიქრის გეოგრაფიას,[1] რაც გულისხმობს სამყაროს ავტორისეული წარმოსახვის კონტექსტში გააზრებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გეოპოეტიკის იდეის პერსპექტივის შესანარჩუნებლად, ასევე, მრავალკულტურული და ტრანსდისციპლინური კვლევებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ქენეთ ვაითმა 1989 წელს ჩამოაყალიბა გეოპოეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი.

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, გეოპოეტიკა არის რეალური სივრცის „ახლიდან დაწერა“. ტექსტი ამ შემთხვევაში შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც სამყაროს ალტერნატიული რუკა, ვგულისხმობ მწერლის მიერ ტექსტის ფარგლებში შექმნილ ე.წ. ტექსტუალურ სივრცეებს, სივრცე-ტექსტებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გეოპოეტიკა არის პოეტური გეოგრაფია, რეალური/არსებული სივრცის „ახლიდან დაწერა“. ტექსტის გეოპოეტიკურ ჭრილში განხილვისას ამოსავალი წერტილი არის სივრცე, ის არის უმთავრესი კატეგორია. ტექსტუალური სივრცე შესაძლოა იყოს რეალური (ისტორიულ რეალობაში არსებული), გამოგონილი (ე.წ. ფანტაზიური, ზღაპრული, უტოპიური) ან რეალური, მაგრამ ამ კონკრეტული ადგილისათვის არადამახასიათებელი შტრიხებით, გადამუშავებული სახეებით, რაც აღარ არის ისტორიულ რეალობაში არსებულის იდენტური. გეოპოეტიკის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტერიტორიების კულტურული თვითდამკვიდრება, რასაც ე.წ. „გეოპოეზისის“ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე. ამის მაგალითებია მწერლის მიერ ქალაქების, სხვადასხვა ადგილის სასურველ ტერიტორიაზე შექმნა ტექსტის ფარგლებში, ანუ მწერლის მიერ იქმნება ე.წ. ტექსტუალური სივრცეები.

სივრცის გეოპოეტიკურ გააზრებას შესაძლოა სხვადასხვა საფუძველი ჰქონდეს. გეოპოეტიკა და, ზოგადად, ტექსტუალური სივრცეები საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გარკვეული შინაარსები და იდეები, რომლებიც რეალობაში ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან არის დაკავშირებული, ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება გადატანილ იქნეს სულ სხვა გეოგრაფიულ სივრცეში, ანუ გათამაშდეს სხვაგან. მაგ., ქართული ხასიათები, მეტაფორები, შინაარსები, ზოგადად, გმირები, რომლებიც ითვლება,

[1]https://www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics

რომ ქართული რეალობის შესაბამისია, აბსოლუტურად სხვა სივრცეში იყოს გადატანილი (მაგ., არაბეთში, ინდოეთში...), ასევე ტერმინები, მყარი მეტაფორები...

არ არის აუცილებელი, რომ ტექსტ-სივრცე თავიდან ბოლომდე გამოგონილი იყოს, მთავარია სივრცის შინაარსი, რასთან არის ეს სივრცე დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საინტერესოა, რა მოტივი ჰქონდა პოემაში ამა თუ იმ სივრცის გამოყენებას,/სივრცის როგორც კატეგორიის არსებობას? როგორია პოემის ლიტერატურული/ტექსტუალური სივრცე და როგორ მიემართება ის რეალურს? რა გავლენას ახდენს სივრცე (რომელშიც მოძრაობენ) გმირებზე, მათ ხასიათზე?

ადგილს/სივრცეს[1] აქვს თავისი იდენტობა, შინაარსი, მეხსიერება. ფრანგი ეთნოლოგისა და ანთროპოლოგის, მარკ ოჟეს მიხედვით (ოჟე, 2009), მნიშვნელოვანია სივრცული მეხსიერება, რომელიც ადამიანების ფორმირებაზე ერთგვარ გავლენას ახდენს. თუმცა ოჟესეული ხედვით, არსებობს როგორც იდენტობის მქონე სივრცე, ისე იდენტობის არმქონე ადგილები/სივრცეები. მაგ., ავტობანსა და სასტუმროს ოთახს უიდენტოს, იდენტობის გარეშე სივრცეს უწოდებს, რადგან, მართალია, შეიძლება მოხდეს რამე ისტორიული სასტუმროს ოთახში, მაგრამ მერე ყველა დეტალს საწყის ადგილას აბრუნებენ და მოვლენა სივრცის მეხსიერებიდან იშლება, ანუ სივრცეს იდენტობის გარეშე ოჟე ასევე უწოდებს სივრცეს მეხსიერების გარეშე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კულტურული სივრცე, სივრცის მეხსიერება – რას ინახავს სივრცე, რა ისტორია აქვს და რა გავლენას ახდენს მერე ეს სივრცე ადამიანებზე, მათ ფორმირებაზე. სივრცისათვის დამახასიათებელი მეხსიერება შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური, ამ უკანასკნელს ზოგჯერ სოციალური მეხსიერების სახელით მოიხსენიებენ. ინდივიდუალური მეხსიერება სოციალური მეხსიერების ნაწილია. ინდივიდუალური მეხსიერების სოციალურ ასპექტს „კომუნიკაციურ მეხსიერებასაც“ უწოდებენ და ყალიბდება ინდივიდებს, ადამიანებს შორის ურთიერთობით (ასმანი, 2010). ზოგადი დახასიათებით რომ მივუდგეთ, კოლექტიური მეხსიერება არის ის, რაც კოლექტივის, სოციუმის მეხსიერებაშია შემორჩენილი. მისი ლიტერატურული გადამუშავება კი შესაძლებელია მივიჩნიოთ ამ კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ ინდივიდუალურ სახეობად. უფრო კონკრეტულად, კოლექტიური მეხსიერების უმნიშვნელოვანესი შინაარსები თუ ცნებები, ინდივიდთა თუ ავტორთა მიერ გადამუშავებული, წარმოადგენს ინდივიდუალური მეხსიერების ნიმუშს. მაგალითისათვის რომ ვთქვათ, ნებისმიერი კოლექტიური მეხსიერების საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა შემოქმედება (იქნება ეს ნახატი, პროზაული თუ პოეტური) ყველა შემთხვევაში იქნება განსხვავებული, ინდივიდუალურად გადამუშავდება სხვადასხვანაირად, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტი იმ სოციუმის ყველა წარმომადგენლისთვის იქნება კოლექტიური მეხსიერების ნაწილი.

[1]ადგილსა და სივრცეს ერთი მნიშვნელობით ვიყენებ ისევე, როგორც ოჟე და ბევრი სხვა თანამედროვე მკვლევარი.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერების პოემაში წარმოჩენისა და მათი გეოპოეტიკურ კონტექსტში გააზრების თვალსაზრისით, ვფიქრობ, საინტერესო სურათს მოგვცემს *ვეფხისტყაოსნის* ორი სივრცე - დევთა გამოქვაბული და ქაჯეთის ციხე.

როგორც პოემიდან ვიცით, ტარიელმა გამოქვაბული, რომელშიც ასმათთან ერთად ცხოვრობდა, ბრძოლით მოიპოვა, დახოცა შიგნით მყოფი დევები. ამავე გამოქვაბულში შეხვდება ტარიელი ავთანდილს და შემდეგ სწორედ აქ ნანახ კიდობანში აღმოჩენილი საბრძოლო აღჭურვილობით შეძლებენ მეგობრები ქაჯთა დამარცხებას.

ვფიქრობ, აღნიშნული ეპიზოდის ჩვენთვის საინტერესო კონტექსტის განხილვამდე, საჭირო‍ა განვმარტოთ ზოგადად „დევის“ მნიშვნელობა. „დევი“ სპარსული სიტყვა „დაევა“-დან მომდინარეობს. ირანში დაევათა კულტი მანამ იყო გავრცელებული, სანამ აჰურამაზდას რელიგია დამკვიდრდებოდა. ამის შემდეგ დაევამ ლუციფერივით დაკარგა ძველი დიდება, იცვალა ბუნება და გადაიქცა ბნელისა და ბოროტის აღმნიშვნელად (კიკნაძე, 1996). ძველ ქართულ ლექსიკაშიც ბოროტს, ეშმაკს ნიშნავს: „დევი – ეშმაკი, ... ბოროტი“ (აბულაძე, 1973, გვ. 139). იგი ქრისტიანულ შეგნებაში და ტექსტებშიც ამავე მნიშვნელობით შემოდის. გავიხსენოთ შუშანიკის ცნობილი სიტყვები ვარსქენის მიმართ „შუშანიკის წამებიდან“: „მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ“ (ცურტაველი, 1978, გვ. 87). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ქრისტიანობამდელ პერიოდში, ზეპირ გადმოცემათა თუ ზღაპრების მიხედვით, დევთა მსგავსი სამყოფელი ერთგვარი საკრალური მნიშვნელობითაც გამოირჩეოდა, სადაც ინახებოდა განძი და რომელსაც სხვადასხვა სახის ცხოველი დარაჯობდა. როგორც ჩანს, ქრისტიანულ შუა საუკუნეებში დევი უკვე არა მხოლოდ ზღაპრული არსების, არამედ ბოროტი სულის, ეშმაკის აღმნიშვნელიცაა. აღნიშნულის ნათელსაყოფად პოემიდანვე შეგვიძლია მოვიხმოთ სტრიქონები:

„კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ-პოვნა ნაკვალევისა,
აგრე კვალ-წმინდად წარხდომა კაცისა, ვითა დევისა“ (99).[1]

იგივე აზრი პოემაში სხვა სიტყვებით შემდეგაცაა დაფიქსირებული:

„ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა“ (111)

და სხვა.

დევთა გამოქვაბულთან დაკავშირებული ეპიზოდი, გეოპოეტიკური თვალსაზრისით, მრავალმხრივაა საინტერესო: დევების ამოხოცვითა და იქ ადამიანების დამკვიდრებით ეს ადგილი სხვა სივრცედ, დიდი მეგობრობისა და სიკეთის სივრცედ იქცევა,

[1] ტექსტის დამოწმებისას ამ და სხვა შემთხვევაშიც ვხელმძღვანელობთ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემით (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით).

თითქოს ხდება მისი ბოროტებისაგან გაწმენდა, და იმ საკრალურთან „დაბრუნება“, რაც მას წინარე ეპოქაში ახასიათებდა. ამის დასტურია გამოქვაბულში შენახული ჭურჭელიც, რომელიც გამარჯვების საწინდარია და ის დიდი სიმდიდრე, რომელიც აქვე აღმოჩნდება და რაც დიდ ქველმოქმედებად იქცევა - ამ განძს ტარიელი ურიგებს ფრიდონის მეომრებს მათთვის და დაღუპულთა ოჯახებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია, ეს ეპიზოდი მივიჩნიოთ ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების შერწყმად, რაც ავტორისეული ლიტერატურული ალღოს წყალობით საინტერესოდაა გადმოცემული ტექსტში. კერძოდ, დევების გამოქვაბული, რომელიც, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული აღქმით, ბოროტების სავანედ უნდა იყოს მიჩნეული, იქცევა მეგობრობისა და სიკეთის გამარჯვების წინარე სივრცედ, და როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, ხდება მისი საკრალურთან მიახლოება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ირღვევა სივრცის გააზრების შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული აღქმა, სახეზეა მისი ლიტერატურული გარდაქმნა, რაც, შესაძლებელია, ინდივიდუალური მეხსიერების გამოხატულებად მივიჩნიოთ.

სანამ ქაჯეთის წინააღმდეგ სალაშქროდ წავიდოდნენ, ტარიელმა და ავთანდილმა დევთა გამოქვაბულში აღმოჩენილი ერთი კიდობანი გახსნეს. მასში ნანახი საბრძოლო აღჭურვილობა, წარწერის მიხედვით, მაშინ უნდა გამოეყენებინათ მეომრებს, როცა ქაჯები გაილაშქრებდნენ მათ წინააღმდეგ:

„ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი ალმასი, ხრმალი ბასრისა, მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
უმისუამისოდ ვინც გაჰხსნის, არის მეფეთა მკლველიო“ (1368);
კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი...“ (1369).

რუსთველოლოგიაში ბოლო პერიოდში შენიშნული მოსაზრება ქაჯებთან მიმართებით (ხინთიბიძე, 2018), რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ვფიქრობ, ასევე საინტერესო სურათს მოგვცემს მისი გეოპოეტიკურ ჭრილში განხილვის თვალსაზრისით, უფრო კონკრეტულად კი, მაგალითია იმისა, თუ როგორ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოლექტიური მეხსიერება ხშირად სიუჟეტის ფორმირებასა თუ ფორმულირებაზე.

ქაჯებთან მიმართებით პოემაში, შეიძლება ითქვას, ორგვარი დამოკიდებულება გვხვდება, რომელსაც რუსთაველი ფატმანის პირით გადმოგვცემს:

„ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი,
მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი“. (1247)

ამას მოსდევს სტროფი:

„იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
სწადდეს - დღესა ბნელად იქმან, სწადდეს – ბნელსა ანათლობენ“. (1248).

რომლის შემდეგაც გვხვდება თითქოს პირველად დამოწმებული სტროფის ბუნებრივი, ლოგიკური დასასრული:

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“. (1249)

აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს რუსთველოლოგი ელგუჯა ხინთიბიძე, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია, რომ 1248-ე სტროფი, სადაც საუბარია ქაჯებზე, როგორც „გრძნების მცოდნეებზე“, ინტერპოლატორის ჩანართი იყოს.

ამ საკამათო სტროფის სავარაუდოდ ინტერპოლატორის დანართად მიჩნევისათვის მკვლევარს იმპულსს შემდეგი გარემოებანი აძლევს:

ქაჯეთის კაცთა „გრძნების მცოდნელობას“, რუსთველი ფატმანის პირით იქვე, 1247-ე სტროფშივე აზუსტებს:

„...არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა“. (1246)

„...ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;

მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი“. (1247)

მეცნიერის აზრით კი, ამის ბუნებრივი დასრულება მომდევნო რუსთველური სტროფია (1249):

„ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,

თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი“.

ამ ორ სტროფთა შორისაა ჩართული ის საკამათო სტროფი, რომელიც „გრძნების მცოდნე“ კაცთა შესაძლებლობებზე, მკვლევრის აზრით, გადაჭარბებულ თვალსაზრისს ავითარებს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის მოსაზრება, რომ აღნიშნული სტროფი, თუკი ის ინტერპოლატორის მიერაა ჩართული, ავითარებს ხალხში წარმოდგენილ თვალსაზრისს ქაჯებზე, რაც კოლექტიური მეხსიერების ერთგვარი გამოვლინებაა და პოემისეული არსის - ბოროტსა სძლია კეთილმან/ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების, რაც ქაჯეთის ციხის დამხობით მიიღწევა - ერთგვარი „გამართლება“. შეიძლება ითქვას, რომ პოემაში ჩანს ქაჯებზე კოლექტიური წარმოდგენის/მეხსიერების მაგალითი და ასევე, მისი ლიტერატურული, მხატვრული გადამუშავება, რასაც ავტორი ავითარებს და

რაც ავტორისეული ინდივიდუალური მეხსიერების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ. ქაჯებზე ტრადიციული წარმოდგენის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ის ეპიზოდი, როდესაც ავთანდილი გაიგებს, რომ ქაჯთა მეფე დულარდუხტს ტყვედშეპყრობილი ნესტანი უფლისწულ როსანის საცოლედ დაუწინდავს და გაკვირვებული იკითხავს: „მაგრა ქაჯნი უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა?!“(1246). თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოემაში მოქმედი ქაჯები არ არიან არაბუნებრივი, უხორცო ქმნილებანი, ისინი არიან ჩვეულებრივი ადამიანები განსაკუთრებული მეომრული თვისებებითა და ცოდნით.

ქაჯეთი, გეოპოეტიკური კონცეპტის მიხედვით, იმითაცაა საინტერესო, რომ ორგვარი გააზრების საშუალებას გვაძლევს სივრცული თვალსაზრისითაც: არაერთი მკვლევარი მიიჩნევდა პოემისეულ ამ ადგილს/სივრცეს რეალურად, ისტორიული გეოგრაფიის დონეზე არსებულ ქვეყნად, რომელთან დაკავშირებით მინიშნება პოემაში ნამდვილად არ გვხვდება. პირიქით, ფატმანის ნაამბობიდან გამომდინარე, სხვადასხვა თვისების გამო უწოდებენ გარეშემო მკვიდრნი ქაჯეთს ამ სახელს (1249).

როგორც თანამედროვე რუსთველოლოგიაში უკვე გაჟღერებულია, ვეფხისტყაოსნის ქაჯეთი რუსთველისეული მხატვრული ფანტაზიით წარმოსახული ციხე-ქალაქია, გეოპოეტიკური გააზრებით რომ ვთქვათ, ავტორისეული ტექსტ-სივრცეა, რომლის მკვიდრთაც ქაჯები მათი განსაკუთრებული მეომრული თვისებების, მიუწვდომლობისა და განსაკუთრებული ცოდნის (რომელსაც რუსთველი „გრძნების მცოდნელობასაც“[1] უწოდებს) გამო შეარქვეს.

მიმაჩნია, რომ პოემისეული ტექსტუალური სივრცის გეოპოეტიკურ ჭრილში განხილვისას, აღნიშნული ეპიზოდები (ქაჯეთის ციხესთან და დევთა გამოქვაბულთან დაკავშირებული) საინტერესო მაგალითს გვაძლევს როგორც კოლექტიური მეხსიერების, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით მისი ინდივიდუალური მეხსიერების დონეზე გარდაქმნისა და ტექსტში გამოხატული ალტერნატიული გეოგრაფიის კუთხით, რაც ესოდენ დამახასიათებელია გეოპოეტიკური კონცეპტისათვის.

რუსთველის პოემისეული სივრცის (ტექსტ-სივრცის) ინტერპრეტირება თანამედროვე ჰუმანიტარული კონცეპტის - გეოპოეტიკის ჭრილში საჭირო და მნიშვნელოვანია *ვეფხისტყაოსნის* საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობით დისკურსში უფრო აქტიურად დასამკვიდრებლად.

[1]აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტება შეგიძლიათ იხილოთ ე. ხინთიბიძის სტატიაში „ორიოდე კომენტარი *ვეფხისტყაოსნის* ქაჯეთის შესახებ“, ჟურნალი *ქართველოლოგი,* 27, გვ. 267-271.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, ი. (*1973).* ალ-ირაქი, რ. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი,* „მეცნიერება“. Al-iraqi, R., “Bahktin and Shakespeare”: https://www.academia.edu/17667038/Bahktin_and_Shakespeare

ასმანი, ი. (2010). *კულტურის მეხსიერება, ისტორიის შესახებ,* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 257-265.

ასმანი, ი. (2000). *Assmann J. Was ist das “Kulturelle Gadächtniss”? Religion und kulturelles Gedächtnis. Zehn Studien. Beck.*

ბარამიძე, ა. (1975). *შოთა რუსთველი,* თსუ გამომცემლობა.

ბახტინი, მ. (1981). Bakhtin M. M., *Forms of time and of the chronotope in the novel*, University of Texas Press.

ბოურა, მ. (1955). Bowra C. M., *Inspiration and Poetry*, Macmillan & Co Ltd.

ელბაქიძე, მ. (2010). *ვეფხისტყაოსნის* ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში, *კადმოსი, ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი,* 2, ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 25-40.

კიკნაძე, ზ. (1996). ჯვარი და საყმო, *ქართული მითოლოგია,* I, ქუთაისი.

მილერი, ჰ. (1995). *TOPOGRAPHIES,* Stanford University Press.

ოჟე, მ. (2009). *Non-Places: An Introduction to Supermodernity,* (English, translator John Hove), Verso Books.

რატიანი, ი. (2005). *ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში : ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის,* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რუსთველი, შ. (1966). შოთა რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი,*(ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), თბილისი, „მეცნიერება“.

სირაძე, რ. (1982). *სახისმეტყველება,* „ნაკადული“.

სირაძე, რ. (1975). *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები,* თსუ გამომცემლობა.

სტივენსონი, რ. (1977). *Introduction: Shota Rustaveli, The Lord of the Panther-skin* (Translated by R.H Stevenson), State University of New Yourk Press Albany.

ტერნოვაია, ლ. (2016). The link between Shakespeare's geopoetics and geopolitics// *Public Administration*, 6 (104).

უაითი, ქ. (2004). *Geopoetics: Place, Culture, World*, Alba.

უაითი, ქ., ბისელი, ნ. (1992). "Elements of Geopoetics", and "Open World Poetics", Edinburgh Review, 88.

უაითი, ქ. The great field of Geopoetics. https://www.institut-geopoetique.org/en/founding-texts/133-the-great-field-of-geopoetics

ფუკო, მ. (1984). *Of Other Spaces: Utopias and Heterotopias*, translated from Architecture, Mouvement, Continuité, 5.

შელენბერგერ-დიტრიჰი, ე. (2006). *Geopoetik: Studien zur Metaphorik des Gestein in der Lyrik von Hölderlin bis Celan*, Aisthesis Verlag.

ცურტაველი, ი. (1978). *მარტვილობაჲ შუშანიკისი,* (ილია აბულაძის გამოცემა). „მეცნიერება".

ხინთიბიძე, ე. (2018). ორიოდე კომენტარი *ვეფხისტყაოსნის* ქაჯეთის შესახებ, ჟურნალი *ქართველოლოგი,* 27, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი.

ხინთიბიძე, ე. (2018). *თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი* (ელექტრონული გამოცემა).

ხინთიბიძე 2011: KhintibidzeE., *Rustaveli's The Man in the Panther Skin and European Literature,* London: Bennett&Bloom. London, 2011.

ხინთიბიძე, ზ. (2016). *ვეფხისტყაოსნის ფაბულასა და სიუჟეტთან დაკავშირებული სტროფების ახლებური გაგებისათვის: „სპარსული" თუ „ნაპოვნი",* მეშვიდე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები.

ჰასან, ი. (1987). *The postmodern turn: essays in postmodern theory and culture*, Ohio State University Press.